საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10.10213191**

თარიღი:**15/11/2021**

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 102-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 103-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და 104 მუხლის და ,,პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის #199 დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიაში შესაბამისი სამსახურების ფუნქციების ახლებურად განსაზღვრისა და ჩამოყალიბების, სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, დაიწყოს რეორგანიზაციის პროცესი 2021 წლის 15 ნოემბრიდან;

2. რეორგანიზაციის პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს სამ ეტაპად:

   ა) რეორგანიზაციის დაგეგმვა;

   ბ) რეორგანიზაციის აუცილებელი სამართლებრივი აქტების და ორგანიზაციული სტრუქტურის შემუშავება;

   გ) რეორგანიზაციის გამო შტატების გადაადგილების ან/და შემცირებისას გასათავისუფლებელ მოხელეთა მობილობა.

3. შეიქმნას რეორგანიზაციის პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

   - გიგა გაბელაია - აბაშის მუნიციპალიტეტის მერი
   - დიმიტრი ცანავა- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი
   - ემმა გაბელაია - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი.

4. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყოს რეორგანიზაციის დაგეგმვა და რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება მიმდინარე წლის 23 ნოემბრამდე ;

5. მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა მერიის საჯარო მოხელეებზე, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის ვებ გვერდზე გამოქვეყნება;

6. რეორგანიზაციის დაწყების შესახებ ეცნობოს საჯარო სამსახურის ბიუროს;

საქართველო, აბაშა, 0200, ტ.დარასელიას ქ. N1, ტელ: (+412) 29 18 35,
ელ.ფოსტა: ABASHISMERIA@GMAIL.COM

7. რეორგანიზაციის პროცესი დასრულდეს ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 3 თვისა;

8. რეორგანიზაციის პროცესში მუნიციპალიტეტის მერია მუშაობს მერიისა და სტრუქტურული ერთეულების მოქმედი დებულებებისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი რუსთაველის ქ # 247);

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

გიგა გაბელაია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი